# ოსტატობამ გადაწყვიტა

თბილისი. ვ.ი.ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 8 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “არარატი” (ერევანი) 4:0 (1:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სულაქველიძე, ჯოხაძე (თავაძე), ჩელებაძე (ჟვანია), ყიფიანი, შენგელია.

“არარატი”: ვასილიევი, ვართაზარიანი, ასატრიანი, აშ. ხაჩატრიანი, მოვსესიანი, პოღოსიანი (მხითარიანი), ქეროფიანი, ოჰანესიანი, კასაბოღლიანი, ან. ხაჩატრიანი, სააკიანი (გალუსტიანი).

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია სულაქველიძე.

ერევნის “არარატი” ტრადიციულად რთული მეტოქეა თბილისის დინამოელთათვის. ამ ორი გუნდის შეხვედრები მუდამ დაძაბულობით გამოირჩევა და საგანგებო მზადებასაც მოითხოვს, ამიტომ საკავშირო ჩემპიონატის 31–ე ტურში დიდი ანგარიშით მოგებულმა მატჩმა შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას ფეხბურთის მოყვარულთ, თითქოს ყველაფერი იოლად მიმდინარეობდა და დინამოელებს არც გასჭირვებიათ ამ მეტად პერსპექტიული, მზარდი გუნდის დაძლევა.

მაგრამ ეს ასე არაა. ერევნელებმა უდიდესი მონდომებით, მობილიზებით იბრძოლეს, ყველაფერი გააკეთეს წარმატებისთვის და თუ მიზანს ვერ მიაღწიეს, ეს იმიტომ, რომ შეუპოვარი ბრძოლის ფონზე თბილისელ ფეხბურთლთა ინდივიდუალური ოსტატობის დონე უფრო მაღალი იყო, გუნდის სამოქმედო ტაქტიკური გეგმაც უფრო მიზანშეწონილი, სწორი და გამართული გამოდგა.

მატჩის შემდეგ გულდასმით გადავათვალიერეთ თამაშის ქრონოლოგიური მსვლელობა, შევადარეთ სტატისტიკური გამოანგარიშებები და დავრწმუნდით, რომ დინამოელებმა გაიმარჯვეს არა უდავო ტერიტორიული უპირატესობის, განუწყვეტელი იერიშების, მეტოქის სისუსტის გამო, არამედ იმით, რომ ძალზე რაციონალურად ითამაშეს, ზუსტად დაგეგმეს ურთიერთმოქმედების ნიუანსები, ყველა რგოლში თითქმის უშეცდომონი იყვნენ და მძიმე მდგომარეობაშიც კი (75–ე წუთზე დაშავდა მუჯირი და თბილისელები ათნი დარჩნენ მინდორზე), ყოველგვარი აჩქარების გარეშე, ზუსტად, დარწმუნებით აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. მეტსაც ვიტყვი: სწორედ ამ პერიოდში შეძლეს მათ მესამე და მეოთხე გოლების გატანა “არარატის” კარში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კრიზისმა, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ შეიმჩნეოდა, განვლო – გუნდმა კვლავ დაიბრუნა თავისი მაღალი საბრძოლო ფორმა. ჩვენ გვახსოვს, რომ ზოგიერთ სხვა მატჩში თბილისელებს გაცილებით მეტი ტერიტორიული უპირატესობაც ჰქონიათ და ასეთი წარმატებისთვის ვერ მიუღწევიათ. ახლა კი ყველაფერი შესანიშნავად მორგებული და მოწესრიგებული იყო.

მასპინძლებმა კარგად გადაწყვიტეს “არარატის” ორი ყველაზე აქტიური მოთამაშის – ოჰანესიანისა და ან. ხაჩატრიანის უვნებელყოფის საკითხი. საჭიროების მიხედვით გრძელი გადაცემებით წარმართეს კონტრშეტევები და საწადელსაც მიაღწიეს. სტუმრები ხშირად მიმართავდნენ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნის ტაქტიკურ ხერხს, მაგრამ დინამოელებმა ესეც თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და მინდვრის სიღრმიდან განხორციელებული მოულოდნელი გარღვევებით არაერთი კრიტიკული მომენტი შექმნეს მეტოქის კართან – ჩელებაძე

ორჯერ აღმოჩნდა პირისპირ მეკარე ვასილიევთან, ყიფიანმა კი სწორედ ასეთი მანევრის შემდეგ გახსნა ანგარიში.

მთელი მატჩის მსვლელობაში ერევნელებმა 21–ჯერ დაარტყეს კარში, გაბელიამ 5 ბურთი აიღო, დანარჩენი აცდა მიზანს.

თბილისელებმა კარში დაარტყეს 22–ჯერ, აქედან 13 დარტყმა მიზანში წავიდა, ვასილიევი 4–ჯერ უძლური იყო ეხსნა გუნდი. უკვე ეს ციფრები ნათლად მეტყველებს დინამოელთა მაღალ ოსტატობაზე, სიზუსტეზე.

ანგარიში 22–ე წუთზე გახსნა ყიფიანმა, რომელმაც მოპირდაპირე მეკარესთან უშუალო ბრძოლისას სრული სიმშვიდე გამოიჩინა და ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში – 1:0.

მე–60 წუთზე იმავე ყიფიანმა და ჩივაძემ კარგად გაითამაშეს შემუშავებული, ტიპიური კომბინაცია, ამ უკანასკნელმა, უკვე მერამდენედ, გოლით დაამთავრა სწრაფი რეიდი – 2:0.

73–ე წუთზე შენგელიამ დროზე შეამჩნია, რომ მეკარე გასილიევი წინ იყო გამოსული და დაუყოვნებლივ ისარგებლა ამით – 3:0, ხოლო 76–ე წუთზე მანვე კარგად გამოიყენა თავაძის გადაცემა – 4:0.

ყველაფერი ეს კარგია, თბილისის “დინამოს” ახლა მხოლოდ სიხარული მოაქვს თავისი ქომაგებისთვის, მაგრამ არ შემიძლია ორიოდე მეგობრული მითითება არ გამოვთქვა ზოგიერთი მოთამაშის მიმართ.

პირველი ეხება სულაქველიძეს. ამ გამოცდილ ფეხბურთელს, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების ძირითადი წევრია, სხვადასხვა ადგილზე შეუძლია თამაში და მუდამ დიდი სარგებელი მოაქვს გუნდისთვის, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რატომ მიიყვანა მან ამ მატჩში საქმე გაფრთხილებამდე. ასეთი გაფრთხილება სულაქველიძეს ადრეც აქვს მიღებული, ამიტომ იგი იძულებულია გამოტოვოს ერთი კალენდარული მატჩი. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სულაქველიძე წლეულს, ორჯერ გააფრთხილეს საერთაშორისო შეხვედრებში. მომავალში მან მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა გაბელიაზეც. მე კარგად ვიცი რა ურთულესი მოვალეობა აკისრია მეკარეს, როგორ მოქმედებს მისი საქციელი მინდვრის მოთამაშეებზე. გაბელია ახლა კვლავ ჩადგა ფორმაში, საიმედოდ თამაშობს, მაგრამ ზოგჯერ ვერ თოკავს ნერვებს, ემოციებს აჰყვება ხოლმე, როგორც ამ მატჩშიც იყო, და საფუძველს აძლევს ზოგიერთებს საყვედური გამოთქვან მის მიმართ. გაბელიას იმდენი სპორტული ოსტატობა აქვს, რომ შეუძლია აუღელვებლად, ექსცესების გარეშე გაართვას თავი ძნელ მოვალეობას.

ს. შუდრა, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
“ლელო”, 11 ნოემბერი, 1980 წ.